

გაგებულები ამხანაგობების დაფინანსებას ითხოვენ

გუშინ თბილისის საკრებულოში დედაქალაქის ყველა რაიონის გამგებელი იმყოფებოდა. საკრებულოს უმრავლესობა და გამგებლები ქალაქის ბიუჯეტში 19 აგვისტოს შესული ცვლილებების შესახებ დავობდნენ.

თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსება 10 მილიონი ლარით მცირდება. გამგებლები საკრებულოს ქალაქის პარალიზებაში ადანაშაულებენ. როგორც ვაკის რაიონის გამგებელი ბაჩო დოლიძე ამბობს, გამგებების ამოცანა მაქსიმალურად ბევრი სამუშაოს ჩატარება იყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ

ისინი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ, კონკრეტულად ვაკის რაიონის ბიუჯეტის ამხანაგობების პუნქტში 400 ათასი ლარი აქვს მისაღები. „საქმე ის არის, რომ აგვისტოს ვალდებულებებსაც ვერ ვისტუმრებთ,“ - აღნიშნავს დოლიძე.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - რეფორმატორების“ თავმჯდომარის თემურ გრიგალაშვილის აზრით, საკრებულოს უმრავლესობის ამბიციებს მოსახლეობის ინტერესები ეწირება. მისი თქმით, უმრავლესობის გადაწყვეტილების გამო თბილისის ამხანაგობებში პრობლემები შეექმნა. მთაწმინდის რაიონის გამგებელმა ნიკა მელიამ

საკრებულოში გამართული შეხვედრა ბერძნული ტრადიციის შეადარა და აღნიშნა, რომ ერთმანეთს არა-ტოლმნიშვნელოვანი მხარეები დაუპირისპირდნენ. „ერთ მხარეს არიან გამგებლები, რომლებსაც საქმის კეთება სურთ, ხოლო მეორე მხარეს მყოფი ახალი უმრავლესობის ნაწილი მხოლოდ პარტიული ინტერესით ხელმძღვანელობს,“ - აღნიშნავს მელია.

დიდუბის რაიონის გამგებელი ლევან მხვიტიანი ვითარებაში საკრებულოს თავმჯდომარეს ირაკლი შიხიაშვილს ადანაშაულებს.

გაზრდილობა
80-2 გვარდუა

ცესკო-ს ახალი თავმჯდომარა - თამარ ჟვანიას პოლიტიკოსები იწონებენ

მას შემდეგ, რაც ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარტიშვილმა თანამდებობა დატოვა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე სამი კანდიდატურა - თამარ ჟვანია, მანუჩარ გამყრელიძე და კონსტანტინე ამირეჯიბი წარადგინა.

პრეზიდენტმა ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატები 9 სექტემბერს, 15-დღიან ვადაზეადრე დაასახელა.

კანონმდებლობის მიხედვით, ცესკო-ს თავმჯდომარის უფლებამოსილება შეწყვეტიდან არაუგვიანეს მე-15 დღისა, პრეზიდენტი სამოქალაქო სექტორთან

კონსულტაციების შემდეგ, ცესკო-ს თავმჯდომარის სამ კანდიდატურას წარუდგენს. ცესკო-ში პარტიების მიერ დანიშნული წევრები (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა) თავმჯდომარის თანამდებობაზე სამი კანდიდატურა - თამარ ჟვანია, მანუჩარ გამყრელიძე და კონსტანტინე ამირეჯიბი წარადგინა.

პრეზიდენტმა ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატები 9 სექტემბერს, 15-დღიან ვადაზეადრე დაასახელა. კანონმდებლობის მიხედვით, ცესკო-ს თავმჯდომარის უფლებამოსილება შეწყვეტიდან არაუგვიანეს მე-15 დღისა, პრეზიდენტი სამოქალაქო სექტორთან

ტი ოთხ ან ოთხზე მეტ ხმას მიიღებს.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავმჯდომარის კანდიდატურაზე მსჯელობის საკითხი 10 სექტემბერს სხდომის დღის წესრიგში არ შეიტანა. ცესკო-ს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კომისიამ მხოლოდ 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად „დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაცია-თავისუფალი პრესის“ და „თემი და თვითმმართველობას“ რეგისტრაციის საკითხები განიხილა.

გაზრდილობა
80-3 გვარდუა

ამერიკამ სირიაზე დარტყმა, შესაძლოა, გადადოს

თამთა კახაძე

ორშაბათს ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „სინ-ენ-ენ“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სირიის ქიმიურ იარაღზე საერთაშორისო კონტროლის დანერგვის შემთხვევაში ამერიკამ, შესაძლოა, სირიაზე დარტყმა გადაიფიქროს. თუმცა, პრეზიდენტმა იქვე დაამატა, რომ ეს მაშინ მოხდება, თუ „ეს გეგმა რეალურია.“

გაზრდილობა
80-4 გვარდუა



პაკისტანი „თალიბანთან“ მოლაპარაკების დაწყებას მხარს უჭერს

თამთა კახაძე

ცოტა ხნის წინ პაკისტანის პოლიტიკური ლიდერები მოძრაობა „თალიბანთან“ სამშვიდობო მოლაპარაკების გამართვის წინადადებას გამოთქმენ.

„სინ-ენ-ენ“-ის ინფორმაციით, ისლამაბადში გამართული კონფერენციის შემდეგ მათ რეზოლუცია წარმოადგინეს, სადაც საუბარია, რომ „ცენტრორისტებისა და ექსტრემისტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად გამოყენებულმა მიდგომებმა სასურველი შედეგი არ გამოიღო.“

გაზრდილობა
80-4 გვარდუა



1 აშშ დოლარი	1.6643\$
1 ევრო	2.2110\$
1 ინგლისური გირვანქა	2.5933\$
1 თურქული ლირა	0.8622\$
100 რუსული რუბლი	5.0433\$

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

ადამიანის უფლებები უპირველეს ყოვლისა - Human Rights Watch-ის კინოფესტივალი

ნა ბერკვილაძე, ნიუ იორკი, აშშ

პირველი საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც კონკრეტულ თემას - ადამიანის უფლებებს მიეძღვნა 2001 წელს ვარშავაში გაიმართა. თუმცა ამ თარიღამდე ადრე, XX საუკუნის შუა 90 - იანებში საერთაშორისო ორგანიზაციამ Human Rights Watch გამართა მისი პირველი კინოფორუმი, რომლის მიზანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანის სამოქალაქო აქტივობის, ადამიანის უფლებების დარღვევისა და მათ დასაცავად ბრძოლის თემაზე შექმნილი ფილმების ფართე მაცურებისთვის წარდგენა გახლდათ.



გაზრდილობა
80-5 გვარდუა

ეს არ იყო ომი, ეს იყო სუიციდი

გვ. 7



“24 საათი” ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge ჩვენი პარტნიორები:

თბილისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლევთ ერთმანეთს

FM 102.4
საგარეო ურთიერთობების მინისტრის სახელმძღვანელო

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9177198719121001

დავით ბაქრაძის საარჩევნო შტაბს ალექსანდრე კვიციანი უხელმძღვანელებს

„ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით ბაქრაძის საარჩევნო შტაბს თსუ-ს ყოფილი რექტორი ალექსანდრე კვიციანი უხელმძღვანელებს. ალექსანდრე კვიციანი, როგორც საარჩევნო შტაბის უფროსი, ბაქრაძემ დღეს წარადგინა.

„ჩემი და ჩემი გუნდის სურვილი იყო, საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ყოფილიყო ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში იქნებოდა ცნობილი თავისი რეპუტაციით, ნესიერებით, კომპეტენტურობით, ცოდნით; არ იქნებოდა დაკავშირებული სკანდალებთან, არეულობასთან და საზოგადოების დაპირისპირებასთან. გვინდოდა, რომ მისაღები ფიგურა ყოფილიყო იმ ადამიანებისთვისაც კი, ვინც მას არ ეთანხმება. ეს ადამიანი არის სანდრო კვიციანი, რომელიც იქნება ჩემი საარჩევნო კამპანიის შტაბის უფროსი“, - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

თავად კვიციანი იმედივნებს, რომ ბაქრაძის საარჩევნო კამპანიაში საკუთარ წვლილს შეიტანს.

„დავით ბაქრაძე გამოცდილი პოლიტიკოსია. მან დაამტკიცა, რომ შეუძლია, ნებისმიერი კატეგორიის პოლიტიკოსთან გამოხახოს საერთო ენა და რაც მთავარია, იყოს მომავალში საქართველოს ევროატლანტიკური მიმართულების შენარჩუნების გარანტი. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს წვლილს შეიტანს მის საარჩევნო კამპანიაში“, - აღნიშნა ალექსანდრე კვიციანმა.

ეკონომიკის სამინისტრო ვერტმფრენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, ფრანგული წარმოების ვერტმფრენებთან დაკავშირებით პრეზიდენტის ბრძანება კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან ქვეყნის პირველ პირს სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ბრძანებულების გამოცემის უფლება არ აქვს.

როგორც უფროსი ტექნიკის აღნიშნულ საკითხზე კომენტარებისას ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ, ნათია მიქელაძემ განუცხადა, სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული საკითხები სახელმწიფო ქონების შესახებ კანონით რეგულირდება.

„პრეზიდენტის მიერ აღნიშნული ვერტმფრენების გაყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანება იმის მანიშნებელია, რომ მიხედავად საკანონო იყენებს თავის უფლებამოსილებას, როგორც სახელმწიფო ქონების მთავარსარდალი. ცალსახად მინდა განვაცხადო, რომ, მას, როგორც ქვეყნის მთავარსარდალს ზოგადი ტიპის ბრძანების გამოცემის უფლება აქვს, მაგრამ კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და არავითარ შემთხვევაში სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს საკითხი რეგულირდება სახელმწიფო ქონების შესახებ კანონით და იქ არ არის საუბარი, რომ საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებით რაიმე ტიპის აკრძალვები შემოიღოს. აღნიშნული ვერტმფრენები არის სახელმწიფო ქონება - სამოქალაქო დანიშნულების ვერტმფრენები და ეს ცალსახად აღნიშნული შესაბამისი კომპანია „ევროკოპტერთან“ გაფორმებულ კონტრაქტში. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულება აბსოლუტურად კანონსაწინააღმდეგოა“, - განაცხადა ნათია მიქელაძემ.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ვერტმფრენების გასხვისების მიზეზებიც განმარტა და აღნიშნა, რომ ქვეყანას, რომელსაც „სხვა ტიპის პროდუქტები აქვს, მსგავსი ღირებულების ვერტმფრენები არ სჭირდება“.

„ვერტმფრენების გასხვისება გადაწყდა გამომდინარე იქედან, რომ ისინი საკმაოდ მაღალი ღირებულებისაა, არის საგარეო ვალთ შექმნილი და მიგვაჩნია, რომ ქვეყანას, რომელსაც აქვს სხვა ტიპის პროდუქტები, მსგავსი ღირებულების ვერტმფრენები არ სჭირდება. სხვა საქმეა აღნიშნული ტიპის სხვა ღირებულების ვერტმფრენების შექმნის თემა, რომელიც შესაძლოა მთავრობის მხრიდან განხილულ იქნას“, - აღნიშნა ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ.

ამასთან, ნათია მიქელაძის ინფორმაციით, ვერტმფრენების შექმნასთან დაკავშირებით შესაბამის კონტრაქტს ხელი 2010 წელს მოეწერა, თუმცა ისინი მიმდინარე წლის ივნისში ჩამოიყვანეს. დღეს აღნიშნული ქონება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და როგორც მინისტრის მოადგილე განმარტავს, მათი საბოლოო ზედის გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი სწორედ ეკონომიკის სამინისტროა.

ეკონომიკის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციამდე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა ბრიფინგი გამართა, სადაც ფრანგული წარმოების თვითმფრინავებთან დაკავშირებით მთავრობის ნევრთა განცხადებებს გამოეხმაურა.

როგორც ანდრო ბარნოვმა განაცხადა, მთავრობას შეუძლია შეცვალოს აღნიშნული თვითმფრინავების განკარგვის ფორმა და ის მსს-ს დაცვის სამსახურს ან რომელიმე სხვა უწყებას გადასცეს, მაგრამ ისინი უნდა დარჩეს საქართველოში, რადგან ქვეყანას და არა სააკვიპოლს სჭირდება.

„მინდა ვკითხო ეკონომიკის მინისტრს, თუ გაცივო პრეზიდენტის ბრძანების ტექსტს. იქ გარკვევით წერია, რომ საუბარია არა თავდაცვის ბალანსზე არსებულ, არამედ საქართველოს საკუთრებაში მყოფი არსებული ვერტმფრენების შესახებ. რაც შეეხება იმას თუ რამდენად შეუძლია უმაღლეს მთავარსარდალს გასოსცეს ბრძანება ასეთი ქონების განკარგვის შესახებ, მთავრობას განუფრთხილეთ, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი ვერტმფრენი არის ორმაგი დანიშნულების და ამის დასტურია ისიც, რომ ეს ენ „სამოქალაქო დანიშნულების ვერტმფრენები“ სწორედ თავდაცვის სამინისტროს აქვს განსაკარგად. ესეც რომ არა, პრეზიდენტი არის არა შეიარაღებული ძალების, არამედ სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და მინდა ვთხოვო მთავრობას, რომ ცოტა მეტად დაფიქრდნენ სანამ განცხადებას გააკეთებენ,“ - განაცხადა ანდრო ბარნოვმა.

ბამბეზლები ამხანაგობების დაფინანსებას ითხოვენ

პირველი ბავშვიდან

„შიხიაშვილმა რიხით დაგვიბარა, თუმცა არგუმენტების არქონის გამო შეხვედრაზე თავად არ მოვიდა. ბევრი ტყუილი ითქვა, თანხები არა კორპუსების გამაგრებაზე, არამედ ე.წ. ოლიმპიადის, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტის (რომელიც თბილისში ვიდუროვალის რაოდენობის გაზრდას ითვალისწინებს) დასაფინანსებლად დაიხარჯება“, - ამტკიცებს მხეიძე.

გამგებლების განცხადებებს საკრებულოს უმრავლესობაში არ იზიარებენ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი მუსხელიშვილი ამბობს, რომ 10 მილიონი ლარი გამგებებს კი არ ჩამოეჭრათ, არამედ

ფინანსები გაცილებით კარგ საქმისთვის მიიმართება. „თანხა ისევე გამგებების მეშვეობით, ავარიული კორპუსებისა და საბავშვო ბაღების შესაკეთებლად დაიხარჯება. თბილისის მერის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილი რამდენიმე დღის განმავლობაში საკრებულოსთან ერთად თითოეული ლარის დახარჯვის საკითხს განიხილავდა“, - ამბობს მუსხელიშვილი.

ფრაქცია „ქართული ოცნება - თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე მიიჩნევს, რომ აუთოტაუი საარჩევნო კამპანიას უკავშირდება. ზუმბაძის თქმით, ამხანაგობების თავმჯდომარეებს, რომლებიც ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები არიან, წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ მიმართ

უარყოფითად განწყობენ. „ჩემი ინფორმაციით, გამგებლები ამხანაგობების თავმჯდომარეებს სმს-ებს უგზავნიან და საპროტესტო გამოსვლებისკენ მოუწოდებენ“, - აღნიშნავს ზუმბაძე.

გამგებლების მოთხოვნები დაუსაბუთებლად მიაჩნია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრს ზაზა გაბუნიას. „გამგებებს წლის მე-9 თვეს საშუალოდ ბიუჯეტის მესამედი შემორჩენილი აქვთ, რაც აბსოლუტურად საკმარისია საიმოსოდ, რომ მათ ყველა მოქალაქის მოთხოვნა უზრუნველყონ“, - თქვა გაბუნიამ.

ფრაქცია „თავისუფლების“ წევრ ნიკო ხაჩირაშვილის თქმით, „შეხვედრაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მერიის სა-

ფინანსო სამსახურის უფროსმა აღიარა, რომელ რაიონში რამდენი თავისუფალი თანხაა. „კითხვა დავსვი - როდესაც გამგებებს დაუხარჯავი ფული აქვთ, მოქალაქეს ან ამხანაგობის თავმჯდომარეს, რატომ ეუბნებიან, რომ მათ თანხები აღარ გააჩნიათ, ამის მიზეზად კი საკრებულოს 19 აგვისტოს გადაწყვეტილებას ასახელებენ. ამ პროცესში პოლიტიკურ შანტაჟს უფრო ვხედავ, ვიდრე საქმის კეთების სურვილს“, - აღნიშნავს ნიკო ხაჩირაშვილი.

შეხვედრაზე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა. უმრავლესობის წევრები უახლოეს დღეებში გამგებლებთან შეხვედრებს ინდივიდუალურ რეჟიმში გამართავენ.

საკუთარი ინფორმაცია

ბარო ახალაია: „ქარბია, რომ ციხის ბუნტის ორბანიზება არ მბრალდება“

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში „ციხის ბუნტთან“ დაკავშირებულ ბრალდებაზე ბარო ახალაია დაიკითხა.

პროკურატურა ყოფილი თავდაცვისა და შს მინისტრის დეპუტატის ნინალოშვილი იყო. ნინალოშვილის მოტივად პროკურორმა რევაზ ნადოში ახალაიას ადვოკატების მიერ პროკურატურის ყველა მტკიცებულების უდაოდ ცნობა დაასახელა. ახალაიამ პროკურორის აღნიშნული პოზიცია გააპროტესტა და დავითზე მოითხოვა, რის შემდეგაც მოსამართლემ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ბარო ახალაიას განცხადებით, ციხის ბუნტის 2006 წელს მისი სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშნვის პერიოდს მოჰყვა, ანუ მაშინ, როდესაც „კანონიერი ქურდების“ ერთ - N7 დაწესებულებაში გადაყვანა დაიწყო. მისივე თქმით, ციხეში სრული ანარქია იყო. სასჯელალსრულების დეპარტამენტში მუშაობის დაწყების შემდეგ, მან ქურდების უფლებების შეზღუდვა დაიწყო და ამ მიზნით „ყველა ერთ დანესებულებაში ჩაკეტვა“ გადაწყვიტა.

„როდესაც სასჯელალსრულების დეპარტამენტში მივედი სამუშაოდ, ციხეში დამხვდა სრული ანარქია. მას მართავენ ის ადამიანები, რომლებიც დღეს პროკურატურას დაზარალებულად ჰყვას საქმეში წარმოდგენილი. ციხის დირექტორები კი ამ მძიმე პერიოდში ქურდების თანაშემწეებს წარმოადგენდნენ. მიდიოდა აზარტული თამაშები, ფულის შეგროვება; იყო ფაქტები, როდესაც მკვლელობას ჰქონდა ადგილი და ქურდების დავალებით პატიმარი მოკლეს. ასეთ მდგომარეობაში მივედი სასჯელალსრულების დეპარტამენტში, რის შემდეგაც დაიწყო ქურდების უფლებების შეზღუდვა. ამიტომ მოვუყარე თავი ყველა მათგანს და გადაწყვიტე, რომ ჩავეკეტა ერთ დანესებულებაში. ამან დიდი აღშფოთება და ის პროტესტი გამოიწვია, რომელიც გადაიხარდა ბუნტში. პროტესტი იყო მასიური, იყო შიმშილობა. წარმოიდგინე, ქუთაისის ციხიდან ქურდის გაყვანის გამო მოყლი ციხე

შიმშილობდა. იყო ულტიმატუმი, რომ ქურდები დაეტოვებინათ ციხეში და ხელს არ შევკმლიდნენ, თუმცა ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ ულტიმატუმზე არ წავედით და ამის შედეგია სწორედ ბუნტი“, - განაცხადა ბარო ახალაიამ.

მისივე თქმით, პროკურატურა მას არა ციხის ბუნტის ორგანიზებას, არამედ კანონიერი ქურდების ცემას აბრალებს. ახალაია მოხარულია, რომ ციხის ბუნტის ორგანიზება არ ბრალდება.

„ქარბია, რომ არ მბრალდება ბუნტის ორგანიზება. ციხის ბუნტზე 2006 წლიდან აღძრულა და საქმედ ყველა ინსტანცია მოიპა და დადასტურებულია, რომ ეს კონკრეტული ადამიანები აწყობდნენ ციხეში არეულობას. მას შემდეგ, რაც მე ინფორმაცია მივიღე არეულობის დაგეგმვის შესახებ, დაიწყო გამოძიება ბუნტის ორგანიზებასთან დაკავშირებით. შევარჩიეთ გარკვეული საათები, სპეციალურად გვიანი ღამე, რათა კონკრეტული პირები უშფოთვლად გადაგვეყვანა იმ დანესებულებაში, სადაც ისინი იქნებოდნენ ჩაკეტილები და მეტ კონტროლს განვახორციელებდით მასზე. მოხდა მათი ციხეების ჩაწვრილება ბუნტის ორგანიზების ორგანიზების გეგმებთან დაკავშირებით. სამი „კანონიერი ქურდი“ და სამი კრიმინალური ავტორიტეტი საუბრობდნენ, თუ როგორ მიეწყობთ არეულობა. გადავიყვანეთ ისინი N7 დანესებულებაში. ამას მოჰყვა მათი მხრიდან წინააღმდეგობა და დანესებულებაში შეძახილები და ყვირილი, რამაც გამოიწვია არეულობა. მათ ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი. ამასთან, არეულობაში ჩაერთვნენ ქურდები უცხოეთიდან, მათ შორის - „ტარასა“ უკრაინიდან“, - განაცხადა ახალაიამ.

ახალაია უარყოფს ბრალდების მასალებს, რომლის მიხედვით მან კაბინეტში ერთ-ერთი კრიმინალური ქურდი პლატონ მამარდაშვილი დაიბარა. „დირექტორის კაბინეტში ქურდებთან შეხვედრას ადგილი არ ჰქონია. ისინი გამოიყვანეს, საბადრაგო მანქანებში უნდა ჩაესვით, როდესაც დაინყეს შეძახილები. ჩემს კაბინეტში არანაირი შეხვედრა არ ყოფილა“, - განაცხადა ბარო ახალაიამ.

ნეტში არანაირი შეხვედრა არ ყოფილა“, - განაცხადა ბარო ახალაიამ. პროკურორ რევაზ ნადოშის შეკითხვაზე, პირადად იცნობდა თუ არა ახალაია მამარდაშვილს, ახალაიამ უპასუხა, რომ იგი ყველა ქურდს იცნობდა, თუმცა, პროკურორებისგან განსხვავებით, მათთან ერთად სუფრასთან არასდროს მჯდარა. „ყველა მინახავს, მათ შორის მამარდაშვილიც, თუმცა პროკურორებისგან და უშუალოდ თქვენი კოლეგებისგან განსხვავებით, მათთან ერთად სუფრასთან არ ვმჯდარვარ და არც რაიმე ურთიერთობა მქონია“, - განაცხადა ბარო ახალაიამ.

ყოფილი თავდაცვისა და შს მინისტრის ბარო ახალაიას გარდა, გუშინდელ პროცესზე დაცვის მხარის სამი მოწმე დაიკითხა. მათ შორის ბარო ახალაიას სასჯელალსრულების დეპარტამენტში მუშაობის დროს დეპარტამენტის სპეცრაზმის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი თეიმურაზ ტაკიძე, ასევე - კახა ბუცხრიკიძე და გურამ მირცხულავა.

თეიმურაზ ტაკიძის განცხადებით, ბრალდების მხარის მტკიცება, თითქოს ბუნტამდე ახალაიამ ქურდები კაბინეტში მიიღო, სიმართლეს არ შეესაბამება. მოწმემ აღნიშნა, რომ იმ პერიოდში, სასჯელალსრულების დეპარტამენტის დავალებით, ბარო ახალაიას უსაფრთხოებაზე ზრუნავდა და მისთან ერთად იმყოფებოდა.

„მსგავსი შემთხვევა, რომ კაბინეტში ქურდი ჰყოლოდათ შეყვანილი, არასდროს ყოფილა. როდესაც ქურდები გაყავდათ, ისინი მოუწოდებდნენ პატიმრებს თანადგომისკენ და სწორედ ამან გამოიწვია ბუნტი“, - განაცხადა თეიმურაზ ტაკიძემ. მისივე თქმით, ბრალდების მხარის ერთ-ერთი მოწმე, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ყოფილი დირექტორი მალხაზ სინაურიძე პროკურატურის ხელისუფლების პირობებში გეგუთის ციხის დირექტორად მუშაობდა, მას შეხვდა და უთხრა, რომ პროკურატურას ჩვენება ზენოლის შედეგად მისცა.

„სინაურიძემ მითხრა, რომ რამდენჯერმე მიიყვანეს პროკურატურაში და მიაცემინეს ჩვენება. მან თქვა, რომ თავიდან სიმართლე თქვა, თუმცა შემდეგ

რაც დაუწერეს, იმას მოაწერა ხელი. სინაურიძემ თქვა, რომ დღეს ვერა, მაგრამ აუცილებლად იტყვის სიმართლეს“, - განაცხადა თეიმურაზ ტაკიძემ.

დაცვის მხარის მეორე მოწმის გურამ მირცხულავას განცხადებით, ის ბუნტის თანამონაწილეა, თუმცა ციხის გარედან. კერძოდ, ფირცხალავამ გაიხსენა, რომ სოლოლაკში, სკოლის მოსწავლეობის პერიოდში, როდესაც იგი მე-11 კლასში იყო, „სკოლის მაცურებელს“ წარმოადგენდა და ბავშვებისგან ციხეში გასაგზავნ თანხას აგროვებდა. კონკრეტულად კი უკავშირდებოდა ამჟამად სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად ცნობილ პლატონ მამარდაშვილს.

მირცხულავამ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც დეპარტამენტში ბარო ახალაია მივიდა, მას მამარდაშვილთან კავშირი არ ჰქონია, თუმცა თავის საქმიანობას კვლავ აგრძელებდა და ფულს აგროვებდა. მოგვიანებით კი, მამარდაშვილი დაუკავშირდა და დაავალა, რომ ციხეში არეულობის დროს გარედან მოეწყო ხმაური და ეყვირათ, რომ პატიმრებს სცემენ. შემდეგ კი, როგორც მირცხულავამ აღნიშნა, მან დიდი თანხა წააგო, კერძოდ ხუთი ათასი ლარი, რისი გადახდაც ვერ შეძლო და ამით ჩამოშორდა კრიმინალურ სამყაროს.

მირცხულავამ ბარო ახალაია დადებითად დაახასიათა.

პროკუცის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა პროკურორმა რევაზ ნადოში. მისი თქმით, გუშინ დაკითხული დაცვის მხარის სამივე მოწმე ბარო ახალაიას მეგობარია და, შესაბამისად, მათი ჩვენებები მხარის დაინტერესებას წარმოადგენს.

ბარო ახალაიას წინააღმდეგ ციხის ბუნტის პერიოდთან დაკავშირებულ ბრალდებაზე სასამართლო განხილვები დასასრულს უახლოვდება. მომდევნო პროცესი 17 სექტემბერს 16.00 საათზე ჩაინიშნა. 17 სექტემბრის პროცესზე, მხარეების მხრიდან დასკვნითი სიტყვების წარმოდგენა უნდა მოხდეს, რის შემდეგაც საქმეზე წარმოდგენილ ერთადერთ ბრალდებულ ბარო ახალაიას საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მიეცემა. ამის შემდეგ კი, მოსამართლემ განაჩენი უნდა გამოიტანოს.

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "შეპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე. რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მიაა ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი) სოფიკო კილაშონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მოსკოვის ახალი მერის ინაუგურაცია 12 სექტემბერს გაიმართება

მოსკოვის საარჩევნო კომისიის განცხადებით, მოსკოვის ახალი მერის ინაუგურაცია 12 სექტემბერს გაიმართება. სამშაბათს დილით საარჩევნო კომისიამ 8 სექტემბერის მერის არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც მოსკოვის მერის მოვალეობის შემსრულებელმა სერგეი სობიანინმა ხმების 51,37% მიიღო. ოპოზიციის კანდიდატმა ალექსეი ნავალნიმ კი 27,24%.

თუმცა, ნავალნი არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და იმ საარჩევნო უბნებზე ითხოვს ხმების ხელახლა გადათვლას, სადაც დარღვევები დაფიქსირდა. 9 სექტემბერის საღამოს ბალოტინაის მოედანზე მისი მხარდამჭერები შეიკრიბნენ. სანქცირებულ მიტინგზე ნავალნიმ შეკრებილებს განუცხადა, რომ ამ არჩევნებზე ნამდვილ ოპოზიციას ჩაეყარა საფუძველი, რომელიც, შესაძლოა, რუსეთში წამყვანი ძალა გახდეს. მიუხედავად პირველივე ტურში სერგეი სობიანინის გამარჯვებისა, ბალოტინაის მოედანზე გამართულ აქციას «გამარჯვების მიტინგი» დაარქვეს. ნავალნის განაცხადებით, მისი მხარდამჭერების უსაფრთხოებიდან გამომდინარე არ აპირებს მათ სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდოს: «რუსეთში წამდგომი ოპოზიციის დაბნელება, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობა და გამარჯვება შეუძლია.» - აღნიშნა პოლიტიკოსმა.

მახაჩყალის ყოფილი მერი ტერაქტის მომზადებაში დაადანაშაულებს

«ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, მახაჩყალის ყოფილი მერის საიდ ამიროვის, ქალაქის პროკურორის ყოფილი თანაშემწის ჰასაიურტ მამოედ ანდულოვს და ქალაქის მერის მოადგილის კასპისკ იუსუფ ჯაფაროვის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. მათ ტერაქტის მოზადება და იარაღით უკანონოდ ვაჭრობა ბრალდებათ.

«გამომძიებლების ვარაუდით, ექვმიტანილები დაღესტანის რესპუბლიკის მაღალჩინოსნებზე თავდასხმას გეგმავდნენ.» - საუბარია რუსეთის საგამომძიებო კომიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

სამშაბათს ცნობილი გახდა, რომ მახაჩყალის ყოფილი მერის სახლში ჩხრეკა მიმდინარეობდა. საიდ ამიროვი 1 ივნისს დააკავეს და მოსკოვში გადაიყვანეს. 14 ივნისს იგი მერის თანამდებობას კვლავ ჩამოშორეს. იგი დაღესტანში საგამომძიებო კომიტეტის გამომძიებლის არსენ გაჯიბეკოვის მკვლელობის ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი.

ირანში ავტობუსების შეჭახებას 44 ადამიანი ემსხვერპლა

ირანში, თეირანთან ახლოს ორი ავტობუსის შეჯახებას, ადგილობრივი მედიის ცნობით, სულ მცირე 44 ადამიანი ემსხვერპლა.

ავარიის მიზეზი, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ავტობუსის საბურავის დაშლება გახდა, რის შემდეგაც მძღოლმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა და სხვა ავტობუსს შეეჯახა. არსებული ინფორმაციით, დაშავდა 40 ადამიანი მეტი. დაშავებულები ქალაქ ქუმის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ავღანეთში აფეთქებას შვიდი ადამიანი ემსხვერპლა

სამხრეთ ავღანეთში გზისპირა ბომბის აფეთქების შედეგად, სულ მცირე, შვიდი ადამიანი დაიღუპა. ბომბი ყანდაღარის პროვინციაში სამგზავრო ავტობუსის ჩაჯლისას აფეთქდა.

დამავდა 17 ადამიანი. ამ დრომდე მომხდარზე პასუხისმგებლობა არცერთ დაჯგუფებას არ აუღია. «თალიბები» გზისპირა ბომბებს ქვეყნის ხელისუფლებისა და უსაფრთხოების ძალებზე თავდასხმისათვის ხშირად იყენებენ, თუმცა შედეგად მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე იღუპება.

იორდანელმა დეპუტატმა კოლეგას სხდომის დარბაზში ესროლა

Sky News Arabia-ს ცნობით, 10 სექტემბერს იორდანის პარლამენტის სხდომის დარბაზში დეპუტატმა მის კოლეგას ესროლა. წინასწარი ინფორმაციით, არავინ დაშავებულა. სხდომა შეჩერდა და იორდანის დედაქალა ამანში მდებარე პარლამენტის შენობაში პოლიცია მივიდა. ჯერ უცნობია, რატომ გაუხსნა ცეცხლი დეპუტატმა კოლეგას.

მსგავსი შემთხვევა უკრაინის პარლამენტის შენობასთან 2006 წლის ივლისში მოხდა, თუმცა მაშინ დეპუტატმა რეზინის ტყვია ისროლა ჰაერში.

ნორვეგიის საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე ცენტრისტიკმა გაიმარჯვეს

ოფიციალური მონაცემებით, ნორვეგიის საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე-ცენტრისტიკმა გაიმარჯვეს. კონსერვატიული პარტია და მისი მოკავშირეები პარლამენტში ადგილების უმრავლესობას მიიღებენ.

მემარჯვენე-ცენტრისტიკულ ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა იენეს სტოლტენბერგმა დამარცხება აღიარა. მან სოლსბერგს გამარჯვება უკვე მიულოცა.

ერნა სოლსბერგი, რომელიც კონსერვატიულ პარტიას უდგას სათავეში, ახალ მთავრობას ანტიმიგრაციულ პროგრესის პარტიასთან ერთად ჩამოაყალიბებს. მათ რიგებში ერთ დროს «ნორვეგიული ტერორისტი» ანდრეს ბრევიკიც შედიოდა, რომელმაც 2011 წლის ზაფხულში 77 ადამიანი მოკლა.

სოლსბერგმა გამარჯვების შემდეგ ოსლოში მხარდამჭერებთან შეხვედრისას ამ გამარჯვებას «ისტორიული გამარჯვება» უწოდა.

მომავალა თამა კახაძემ

ამერიკამ სირიაზე დარტყმა, შესაძლოა, გადადოს

პირველი ბავრიდანი

ბარაკ ობამას თქმით, ჯონ კერი და მისი ეროვნული უსაფრთხოების გუნდი რუსეთთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან მოლაპარაკებას გამართავენ იმის გასარკვევად, რამდენად სერიოზულია შემოთავაზებული წინადადება.

ცოტა ხნის წინ მოსკოვში სირიას მოუწოდა, თუ ეს წინადადება ამერიკას დარტყმას გადააფიქრებინებს, ქვეყნის ქიმიური იარაღი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ უნდა გადავიდეს და განადგურდეს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ამ ინიციატივას უკვე დაუჭირა მხარი გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა და სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალიდ მუალამმა. ლავროვის ამ ინიციატივას ამერიკის სახელმწიფო მდივნის განცხადება უძღვდა წინ. კერიმ ორშაბათს, ლონდონში ბრიტანელ კოლეგა უილიამ პეიტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ამერიკა სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიფიქრებდა, თუ ასადის მთავრობა ქვეყნის ქიმიური იარაღზე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას დათანხმდებოდა. ამასთან, სახელმწიფო მდივანმა ისიც დაამატა, რომ ასადი ამ ნაბიჯზე ნამსვლელი არ იყო.

შეგახსენებთ, რომ 21 აგვისტოს დამასკოსთან ახლოს, სირიის ოპოზიციის მტკიცებით, ასადის ძალების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას 1429 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ბავშვები და ქალები. ამის შემდეგ ამერიკამ აქტიურად დაიწყო სირიაში სამხედრო ოპერაციის შესახებ საუბარი. «სი-ენ-ენ»-

მა ცოტა ხნის წინ გამოკითხვა ჩაატარა, გამოკითხულთა 59%-ს მიაჩნია, რომ კონგრესმა სირიაში ამერიკის სამხედრო ოპერაციის დაწყება არ უნდა დაუშვას. გამოკითხულთა 79% კი თვლის, რომ სირიაზე დარტყმით ამერიკა მიზანს ვერ მიაღწევს.

ლავროვის ინიციატივას სირიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალიდ მუალამი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ დამასკო ამ წინადადებას მიესალმება: «ჩვენ რუსეთის მთავრობის სიბრძნეში დარწმუნებული ვართ, რომელიც ცდილობს ჩვენს ხალხს ამერიკის აგრესია ააცილოს თავიდან.»

შეგახსენებთ, რომ ორშაბათს რუსეთისა და სირიის საგარეო საქმეთა მინისტრები მოსკოვში შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, რომ პრეზიდენტმა ასადმა მას ვლადიმერ პუტინთან «დიდი ოცულის შემდეგ და მანამდეც დაფიქსირებული პოზიციის გამო მადლობის გადახდა» დააგადა.

შეგახსენებთ, რომ სირია ქიმიური იარაღის გამოყენებას კატეგორიულად უარყოფს. პრეზიდენტმა ასადმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ამერიკას მისი ძალების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების დამტკიცებელი საბუთი არ გააჩნია. გაეროს ექსპერტების დასკვნა კი, სავარაუდოდ, ორ კვირაში გახდება ცნობილი. თუმცა, გაეროს ინსპექტორებს იმის დადგენა არ ევალებათ, ვინ დგას ქიმიური თავდასხმის უკან. დასკვნის დადგენა შემდეგ მხოლოდ ის გახდება ცნობილი, მართლა იქნა გამოყენებული ქიმიური იარაღი თუ არა.

ამერიკის კონგრესში სირიაში

პაკისტანი „თალიბანთან“

მოლაპარაკების დაწყებას მხარს უჭერს

პირველი ბავრიდანი

ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომადგენლის ომარ შამის ხანის თქმით, მთავრობა მოლაპარაკებებს მაშინვე დაიწყებს, როგორც კი შესაბამისი ნიადაგი მომზადდება. პაკისტანის «თალიბანის» წარმომადგენელი შამიდილუდ შაჰიდი ამ ნაბიჯს მიესალმა.

პოლიტიკოსების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ამერიკის მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე უპილოტო საფრენი აპარატებიდან განხორციელებული საჰაერო იერიშების შესახებაც არის საუბარი. ეს პოლიტიკოსებმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნიეს და მათ მთავრობას ამ



რუსეთი ყირიმის საავიაციო პოლიგონზე უარს ამბობს

თამა კახაძე

რუსეთმა ცოტა ხნის წინ ოფიციალურად განაცხადა უარი უკრაინის „ნიტკას“ საავიაციო პოლიგონის გამოყენებაზე, რომელიც ყირიმში მდებარეობს. ეს გადაწყვეტილება უკვე დაადასტურა კვიემა.

«უკრაინის მხარე ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ 2014 წლიდან «ნიტკას» საავიაციო პოლიგონზე რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მფრინავების მომზადება აღარ იგეგმება,» - აღნიშნულს შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა სააგენტო «რია ნოვოსტის» განუცხადა.

მისი თქმით, უკრაინის მხარემ უკვე განაცხადა, რომ მზად არის 1997 წელს რუსეთსა და უკრაინის მთავრობების შორის დადებული შეთანხმების მოქმედება შეწყვიტოს, რომელიც პოლიგონის გამოყენებას ზღუდავდა. როგორც ცნობილი გახდა, 2013 წლიდან რუსეთი ამ პოლიგონს აღარ გამოიყენებდა,



ამის მიზეზი კი ის არის, რომ კრასნოდარის მხარეში (ეისკში) უკვე დასრულდა მსგავსი პოლიგონის მშენებლობა, რომელიც ექსპლუატაციაში ამ შემოდგომაზე უნდა შევიდეს. 2013 წლის ივლისში მგ-29-ის თვითმფრინავებმა აქ უკვე შეასრულეს პირველი საცდელი ფრენები.

ცოტა ხნის წინ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალმა ვიქტორ ჩირკოვმა განაცხადა, რომ ეისკის პოლიგონი 2013-

სამხედრო ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით ხმის მიცემა ამ კვირაში უნდა გამართულიყო, თუმცა რუსეთის ინიციატივის შემდეგ, შესაძლოა, ეს მომდევნო კვირისათვის გადაიდოს. რესპუბლიკელი სენატორები ჯონ მაკკეინი და ლინდსი გრემი, რომლებიც სამხედრო ოპერაციის დაწყებას აქტიურად უჭერენ მხარს, აღნიშნავენ, რომ ახალი ინიციატივის შემდეგ ქვეყნის კონგრესმა უფრო უნდა დაუჭიროს მხარი სამხედრო ოპერაციის დაწყებას, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება რუსეთსა და სირიას აიძულებს მოსკოვის ინიციატივა განახორციელონ.

სირიის კონფლიქტში ამერიკის ჩარევას მხარი ამერიკის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმაც დაუჭირა: «მე ადრე კონფლიქტში ჩარევას ვენიშნავდებოდი და ამის შესახებ საჯაროდაც ვსაუბრობდი. თუმცა, ახლა საქმე მასობრივი განადგურების იარაღს ეხება. ამ შემთხვევაში მე ობამას მოთხოვნას მხარს ვუჭერ,» - განაცხადა კისინჯერმა «სი-ენ-ენ»-სათვის მიცემულ ინტერვიუში.

ამასთან, ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ობამა იმის გამო გააკრიტიკა, რომ სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ კონგრესს სთხოვა თანხმობა: «მე ვფიქრობ, ამის კონგრესში შეტანა გონივრული გადაწყვეტილება არ იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პრეზიდენტს კონგრესის თანხმობის გარეშე მოქმედების უფლება არ გააჩნია.» - აღნიშნა კისინჯერმა.

მოსკოვის ინიციატივას მხარი ირანმაც დაუჭირა. 10 სექტემბერს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა თეირანში განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ქიმიურ იარაღთან დაკავ-

შირებით რუსეთის ინიციატივას უჭერს მხარს.

თეთრი სახლის ინფორმაციით, ამ დროისათვის სირიაზე თავდასხმას ოფიციალურად 14 ქვეყანა უჭერს მხარს.

სამშაბათს ოფიციალურმა დამასკომ დაადასტურა, რომ მზად არიან ქვეყნის არმიის განკარგულებაში არსებული ქიმიური იარაღი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ გადავიდეს. აღნიშნულს შესახებ ქვეყნის პირველმა დიპლომატმა რუსეთის სახელმწიფო სათათბროს თავმჯდომარე სერგეი ნარიშკინთან შეხვედრისას განაცხადა.

«გუმინ ჩვენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან გვექონდა შეხვედრა და მან ქიმიური იარაღის შესახებ ინიციატივა გაგვაცნო. უკვე საღამოს ჩვენ რუსეთის ინიციატივას დავთანხმდით.» - განაცხადა ვალიდ მუალამმა.

თუმცა, ამ განცხადების გაკეთებასთან ერთად, «როიტერის» ინფორმაციით, სირიის სამთავრობო ძალებმა დამასკოში მეამბოხეების პოზიციები დაბომბეს.

სერგეი ლავროვის განცხადებით, სირიის ქიმიური იარაღის გადაცემასთან დაკავშირებით, რუსეთი გეგმას უახლოეს პერიოდში წარმოადგენს. საფრანგეთმა კი გაეროს უშიშროების საბჭოში სირიის ქიმიურ განიარაღებასთან დაკავშირებით რეზოლუციის პროექტი უკვე შეიტანა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორან ფაბიუსის განცხადებით, ამ რეზოლუციაში მითითებული პირობების შეუსრულებლობას სირიის მისამართით «განსაკუთრებით სერიოზული შედეგები მოჰყვება.»

საკითხის გაეროში გატანის რეკომენდაცია მისცეს. შეგახსენებთ, რომ ამერიკის მიერ განხორციელებული საჰაერო იერიშები პაკისტანის გალზიანებას იწვევს და ამას ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად აფასებენ. თუმცა, უპილოტო საფრენი აპარატები ტერორისტებთან ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლება, განსაკუთრებით ისეთ მთიან ადგილებში, როგორც პაკისტანშია.

«თალიბანთან» სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას ოფიციალური პაკისტანი ადრეც შეეცადა. მაგალითად, ეს მოხდა ყოფილ პრეზიდენტ ვერვუ მუშარაფის დროს. ზავის მიუხედავად «თალიბანი» თავდასხმებს აგრძელებდა.

ავგისტოში კი უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ მოჟაროვსკიმ განაცხადა, რომ უკრაინა ამ პოლიგონთან დაკავშირებით ისეთ ქვეყნებთან ანარაზობდა მოლაპარაკებებს, როგორებიცაა ჩინეთი და ინდოეთი.

«ნიტკას» საავიაციო კომპლექსი 1980 წელს შეიქმნა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ავიაკომპლექსი უკრაინის ხელში გადავიდა. რუსეთი კომპლექსის იჯარაში ყოველწლიურად 500 000 დოლარს იხდოდა, ასევე საკუთარი ხარჯებით არემონტებდა ყველა აღჭურვილობას. 1997 წელს ამ ქვეყნის მთავრობებმა პოლიგონის გამოყენებასთან დაკავშირებით შეთანხმება გააფორმეს. თუმცა, 2008 წელს უკრაინის ხელისუფლებამ რუს მფრინავებს ამ კომპლექსში წვდომის ჩატარება აუკრძალა, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს უკავშირდებოდა. თუმცა, ვითარება 2010 წელს ვიქტორ იანუკოვიჩის გაპრეზიდენტების შემდეგ შეიცვალა, მაშინ ყირიმში რუსი მფრინავების წვდომები განახლდა.

2014 წლების მიჯნაზე დაიწყებს ფუნქციონირებას.

«ნიტკაზე» უარის თქმა უკრაინული მხარისათვის მოულოდნელი არ ყოფილა. ჯერ კიდევ ზაფხულში ქვეყნის თავდაცვის უწყების წყარო აცხადებდა, რომ რუსეთი ყოველმხრივ აჩვენებდა, რომ პოლიგონის გამოყენებას მომავალში აღარ აპირებდა. მართლმაც ცნობილი გახდა, რომ რუსეთის თანხმობით უკრაინამ ამ პოლიგონს სანრთველად სხვა ქვეყნებს შესთავაზებდა. 2013 წლის

ადამიანის უფლებები უპირველეს ყოვლისა - Human Rights Watch-ის კინოფესტივალი

პირველი გვერდიდან



ბუნებრივია, ეს კინოფესტივალი ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ერთი ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფების ბრძოლის ერთგვარი მხატვრულ-დოკუმენტური მატარებელი გახდა. ნიუ იორკში ადამიანის უფლებების კინოფესტივალი ზაფხულის პირველ თვეს გამართა. მასზე წარადგინეს ის ფილმები, რომელიც უკვე ამავე ორგანიზაციის კინოფესტივალზე ევროპაში ლონდონსა და ციურიხში, კანადაში ტორონტოში, აშშ-ში კი ჩიკაგოსა და ფილადელფიაში, სან დიეგოსა და დალასში, ვაშინგტონსა და სან ფრანცისკოში და ამერიკის სხვა დიდ და პატარა ქალაქებში აჩვენეს, თუმცა ნიუ იორკელები და ქალაქის სტუმრები ზოგიერთი ფილმის პრემიერასაც დაესწრნენ. ჰიუმან რაითს ვოთჩის რიგით 24-ე ფესტივალის მზადებისას საპროგრამო კომიტეტმა 500 ფილმიდან ისინი აარჩია, რომელიც, მისი აზრით, კინოფორუმისთვის ღირებულია. შერჩეული ფილმებმა კი კიდევ ერთხელ გაიარეს ექსპერტიზა თავად უფლებადამცველი ორგანიზაციის წევრების მხრიდან იმისთვის, რომ ფილმში მოთხრობილი ამბების აუთენტურობა დოკუმენტურად დადასტურებულიყო, რაც კინოფორუმს არა-ზუსტი ფაქტების ტირაჟირებისაგან თუ ინტერპრეტირებისგან მაქსიმალურად დაიცავდა.

ჩიკაგოში გამართულ ფესტივალზე დანიელი რეჟისორის ლიზა ბირკ პედერსენის პუტინის კოცნა (2011) აჩვენეს. ფილმი ვ. პუტინის ეპოქის პროდუქტ 19 წლის მამა დროკოვას პოლიტიკური გზის შესახებ მოგვითხრობს. მამა რუსული ნაციონალისტური პარტიის ნაშის წევრია და ისიც იმ ადამიანთა რიცხვშია, ვისაც რუსეთის იმპერია მსოფლიოს სუპერსახელმწიფო უნდა გახადოს. თუმცა მამა მოგვიანებით იგი ანტიპუტინისტი ჟურნალისტი ოლეგ კაშინს უმეგობრდება და მასთან და მის მეგობრებთან უფრო მეტ საერთოს პოულობს, ვიდრე მოძრაობა ნაშისთან. მერე კი ოლეგ კაშინს თავს დაესხმინა და რკინის არმატურას 56 ჯერ დაარტყამენ. ის განაჩეხა. და მამაც არჩევანის წინაშე დგება. იგი ტოვებს პუტინისტურ მოძრაობას. ნიუ იორკში კი პუტინის თემას კიდევ ერთხელ დაუბუნდნენ. აქ შედგა ბრიტანელი მაიკ ლერნერისა და რუსი მაქსიმ პოზდორკინის ბრიტანული - რუსული წარმოების კოპროდუქტის Pussy Riot: პანკ ლოცვა პრემიერა. 2011 წელს საექვო არჩევნების შემდეგ პუტინი კრემლში დაბრუნდა. ერთი წლის თავზე რადიკალურმა ფემინისტურმა პანკ ჯგუფმა სახელწოდებით Pussy Riot მოსკოვში ქრისტე მხსნელის ეკლესიაში რამდენიმე წუთიანი აქცია მოაწყო, რომლის დროსაც პანკ ლოცვა ღვთისმშობელს, პუტინი განდევნე შეასრულა. ფილმი სამი დაპატიმრებული ახალგაზრდის გასამართლების ისტორიის, მათ წინააღმდეგ აგორებული აბსურდული კამპანიის ეპიზოდების, რუსული მართლმსაჯულების არაადეკვატურობის, სოციალური პროტესტისა და ადამიანის უფლებების რეპრესირების მექანიზმების შესახებ მოგვითხრობს.

რეჟისორ ალ რეინერტის ნამუშევარი არარეალური ოცნება: მაიკლ მორტონის ისტორია (2013), ჩემი აზრით, კინოფესტივალის უმნიშვნელოვანესი ფილმი გახლდათ, რომელიც მიუთითებს არა მხოლოდ აშშ-ის სასამართლო სისტემის ხარვეზებზე, არამედ ზოგადად მართლმსაჯულების (მათ შორის, საქართველოში) პრობლემატიკაზე, ასევე სასამართლო განხილვების თუ განაჩენის გა-

მოტანის შემდეგ ადვოკატების პროფესიონალიზმისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე. საქმე იმაშია, რომ 1986 წელს მაიკლ მორტონის მეუღლე ქრისტინა მათი ერთადერთი მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით მცესურად მოკლეს. პროკურატურამ ეჭვი მაიკლზე მიიტანა, ხოლო სასამართლომ მას გამამტყუნებელი განჩენი გამოუტანა. მაიკლმა 25 წელი ციხეში გაატარა და, ბუნებრივია, იგი ამ წინს განმავლობაში საზოგადოებისთვის უჩინარი იყო. მაგრამ მორტონის ადვოკატები არ დუმდნენ. მათ, როგორც იქნა, დნმ-ის ლაბორატორიული ექსპერტიზის ჩატარებას მიადგინეს და ამ მტკიცებულებით მსჯავრდებული გამართლდა. ფილმი მოგვითხრობს იმაზე, რომ სწორედ ადამიანის უფლებების უზენაესობა და მათი დაცვისთვის პროფესიულად მებრძოლი ადამიანები ქმნიან ისეთ ცნებას, როგორცაა ზოგადად მართლმსაჯულება, მორტონის ქეისის შემთხვევაში კი - აშშ-ის თემიდან მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი.

ბრიტანელი დოკუმენტალისტის პარი ფრილენდის მზის ჩრდილი (2012) შოკისმომგვრელი ფილმია (რეჟისორი მას ექვსი წელი იღებდა), რომელიც ტანზანიის ბარბაროსულ ადათ - ნესზე მოგვითხრობს. ტანზანიის სოფლებში არსებული ცრურწმენების საფუძველზე ალბინოსები არაადამიანურად არიან მიჩნეული და ამიტომ უნდა დაიხიკონ. ალბინოსი ჯოზეფატ ტორნერი ცდილობს თემის ვალურ ადათს დაუპირისპირდეს. აქტივისტი ხანდახან ფიქრობს, რომ უაზროა ეს ბრძოლა, იგი არავის ენდობა, თავის ნათესავებსაც კი. მისი მკვლელები, მტერი ყოველ მამს ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ ისიც იცის, რომ ვალდებული არ გაჩერდეს. ტორნერი სხვა 6 ალბინოსს პოულობს, მათ შორის 15 წლის ვედასტუსსაც, რომელსაც სკოლაში დასცინიან, აბუჩად იგდებენ. მიზეზი? ვედასტუსს შავკანიანებისგან განსხვავებული კანის ფერი აქვს. როცა თეთკანიანი და თეთრწამწამა ბიჭი დაიბადა, დედამისს მიუთითეს, რომ მას ჩვილს უნდა მოეკლა. ფილმში სასტიკი ცრურწმენებსა და ზღვრულ სიძულვილს უპირისპირდება ადამიანების ტანჯვა და ის სულიერი ტკივილი, რომელსაც საზოგადოებისაგან გარიყვა იწვევს. ალბინოსები სოფლებში დადიან და უხსნიან ადამიანებს, რომ მათი კანი ისეთივეა, როგორც შავკანიანების. ოღონდ ფერია განსხვავებული. შეკრებილ ადამიანებს ჯოზეფატ ტორნერი სთხოვს: ჩვენ არა ვართ ეშმები. არ მოგვკლათ.

მაროკოელი რეჟისორის კარიმა ზოუბირის ფილმი კამერა/ქალი (2012) ქვეყნის ტრადიციული ღირებულებებისა და ქალთა უფლებების ურთიერთმიმართებაზე მოგვითხრობს. განქორწინებული ხაჯირა, რომელიც ოჯახს არჩენს, საქორწინო წვეულებების ოპერატორია, ამიტომაც მას მუშაობა ძირითადად ღამე უწევს, რაც ქალის ძმასა და დედას არ მოსწონთ და ხაჯირას ხელახალი დაქორწინება უნდათ. ქორწინების მხიარულება მკვეთრად კონტრასტირებს ხაჯირასა და მისი მეგობრის, ასევე განქორწინებული ბოუჩრას ოჯახური ცხოვრებისა და განქორწინების სირთულეებზე გულახდილ საუბართან. ირანელი რეჟისორის როხსარეხ მაჰრამის ფილმში კიბებზე ასვლა (2011) მოგვითხრობს 9 წლის ასაკში გათხოვილი აკმარის შესახებ, რომელმაც იმისთვის, რომ ქმრისთვის არ ეწყენებინა, მანამდე მიატოვა სკოლა, სანამ კითხვას ისწავლიდა. მერე კი თავისი თავში მხატვრის ნიჭი აღმოჩნდა და ახლა უკვე თავად ბებია მეუღლისგან თანხმობას ელის, რათა კაცმა მას პარიზში შვილების მიერ ორგანიზებული გამოფენაზე გამგზავრების უფლება მისცეს. უკვე ათწლეულებია ისინი ჩხუბობენ და რიდებიან, მაგრამ პრობლემა არც კონფლიქტით წყდება და არც პატივით. ბრიტანელმა რეჟისორმა კიმ ლონგი-ნოტომ, რომელიც მსოფლიოში ქალთა პრობლემების შესახებ გადაღებული ფილმებითაა ცნობილი, ნიუ იორკში წარადგინა მისი ახალი ფილმი სალმა (2013). 13 წლის სალმა მშობლებმა ერთ ოთახში ჩაკეტეს, შემდგომი 6 წელი კი გოგონამ ჩარაზულ ოთხ კედელში გაატარა, სადაც გისოსებიანი ფანჯარა სალმას ერთადერთი გარე სამყარო იყო. გოგონა კი ამ დროს ყველასგან უჩუმრად ქალაქის ნაგლეჯებზე ლექსებს წერდა. ამ ფანჯარიდანაც მხოლოდ ქუჩა ჩანდა. დედა მას გათხოვებას აიძულებდა, მეუღლემ კი წერა აუკრძალა და როცა გაიგო, რომ რაღაც ხერხებით მისი ცოლის ნაწარმოებები გამოცემულს ხელში ჩაუვარდა, მან ცოლი 20 წლით სახლში ჩაკეტა და ემუქრებოდა, რომ თუ სალმა თავის საქმიანობას კვლავ განაგრძობდა, იგი მას მყავას სახეზე შეასხამდა. მუაჟის შესხმა ინდოეთში ქალის დამახინჯებისა და მოკვლის ყველაზე პოპულარული მეთოდი. მაგრამ სალმა ქალაქის ნაგლეჯებზე წერას მაინც ახერხებდა. მერე კი ინდოეთის ცნობილი პოეტი გახდა. სალმას არაორდინალური ცხოვრება და გამძლეობა სხვა ინდოელი ქალებისთვის იშვიათი მაგალითი გახდა. კიმ ლონგი-ნოტოს ფილმის რეალური გმირი სალმა, ფაქტობრივად, ახალი თაო-

ბისთვის ერთგვარი როლური მოდელი გახდა, რომელმაც არაერთი რეპრესირებული ქალი იმ იმედით შთააგონა, რომ მათაც შეუძლიათ ტრადიციული ქალის ყოფის შეცვლა. ამერიკელი რეჟისორის ფრიდა მოკის ფილმი ანიტა (2013) კი მოგვითხრობს სექსუალურ მედიებლობაზე, რომლის მსხვერპლი 20 წლის წინ იურისპრუდენციის ახალგაზრდა პროფესორი ანიტა ჰილი გახდა. იგი საქვეყნოდ, სენატის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე დაუპირისპირდა მოძალადე მამაკაცს, რომელის კანდიდატურა უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის პოსტზე განიხილებოდა. სექსუალური მედიებლობის ამ ქეისმა ამერიკელების საზოგადოებრივი აზრის აფეთქება და ბიძგი მისცა მთელი ქვეყნის მამუბით გენდერული დისკრიმინაციის ამ სახეობის არსებობის შესახებ ცხარე დისკუსია დაწყებულიყო. ეგვიპტელი რეჟისორების ჯიჰანი ნოუჯამისა და მონა ელდაიფის ფილმი რაფეა: მზის დედა (2012) მოგვითხრობს იორდანის უდაბნოში ბედუინულ მომთაბრე ქალზე, რომელსაც ქალიშვილები ჰყავს და რომელსაც სხვა 29 წერა-კითხვის უცოდინარ ქალთან ერთად მზის ენრეგის ინჟინრის უნარ-ჩვევების სასწავლებლად ექვსი თვით ინდოეთში უშვებენ. რაფეას ქმარი კი წინააღმდეგა ცოლის ინდოეთში გამგზავრების. ქალმა უნდა აირჩიოს რა გააკეთოს... ის მიდის ინდოეთში და ბრუნდება მზის დედად...

კამერუნული ფილმი ასეთად დაბადებული (2012) ამ ქვეყანაში გვიჩვენებს გაუსაძლის მდგომარეობაზე მოგვითხრობს; გვი - თემის ცხოვრებაზე გადაღებული სერბიული კომედია ალლუმი, რომელიც გვიჩვენებს სერბიაში გვი ალლუმის ორგანიზაციების დაუსრულებელ პრობლემებზე განახორციელონ თავიანთი სამოქალაქო უფლებები; ამერიკული ფილმი ახალი შავი კი მერლენდის შტატში, სადაც 30 პროცენტი აფრო - ამერიკელია, ერთსქესიანთა ქორწინების უფლებებისთვის ბრძოლის ისტორიას გვიჩვენებს; გერმანული ფილმი ბანაკი 14 - ტოტალური კონტროლის ზონა (2012) კი მოგვითხრობს ჩრდილოეთ კორეის ბანაკში დაბადებულ ბიჭზე, სახელად შინი, რომლის მშობლები პოლიტიპტიმრები არიან, ბავშვი კი ძალადობისა და სისასტიკის გარემოში იზრდებოდა. შინი ბანაკიდან გარბის, ადამიანის უფლებების ცნობილი დამცველი ხდება, მაგრამ თავისუფლებაზე მისი ცხოვრება ისევე რთულია, როგორც ბანაკში. ფილმი მკვლელის აქტი (2012) ინდონეზიაში მოქმედ მკვლელთა გასამხედროებულ დაჯგუფებაზე მოგვითხრობს, რომლის კისურზე ერთი მილიონი ადამიანის მკვლელობა, ათასობით ადამიანის ნამება და გაუპატიურება. ფილმი დოკუმენტური მასალის მხატვრულ ექსპერიმენტს წარმოადგენს. ფილმი დამლუკველი დახმარება (2012) კი ჰაიტიზე დამანგრეველი მიწისძვრის დროს მსოფლიოს მიერ ამ ქვეყნისთვის გაცემული ჰუმანიტარული დახმარების დაგაცემის პრობლემებზე მოგვითხრობს. ფილმიდან ვიგებთ, რომ ამ უზარმაზარი დახმარების ნაწილიც კი ადრესატამდე არ მისულა.

ყველა ამ და სხვა ფილმების უკან, რომელიც კინოფორუმზე აჩვენეს, დგას ჰიუმან რაითს ვოთჩის მიერ ჩატარებული გამოძიებები და კვლევები. ფაქტობრივად, თითოეული კინოპროდუქტის შესაბამება ამ ორგანიზაციის ანგარიში ანდა კონკრეტული განცხადება, რომელიც ადამიანის უფლებების კონკრეტულ დარღვევას უკავშირდება. თავის ანგარიშებში Human Rights Watch-ი რუ-

სეთში ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების გათვლასა და საერთაშორისო ორგანიზაციების უცხოელ აგენტებზე გამოცხადების პოლიტიკას აფიქსირებს; ორგანიზაცია მკაცრად აკონტროლებს ამერიკის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხარვეზებს და ამავე დროს აღნიშნავს იმ პროფესიონალების ღვაწლს, რომლებიც ებრძვიან ყველა იმ მანკიერებას, რომელიც აშშ-ის სასამართლოს ჩრდილს აყენებს. ორგანიზაცია ასევე შეზღუდულ შესაძლებლობის მქონეთა უფლებების დარღვევას აფიქსირებს და იბრძვის იმისთვის, რომ მათი უფლებები გაათავსონ და ნორმალურ პირობებზე აღიარებულ და მხარდაჭერილი იყოს როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან. ორგანიზაცია ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ქალთა დისკრიმინაციასა და დასჯის ბრუტალურ მეთოდებს არეპორტებს. 2012 წელს მაროკოში 16 წლის გოგონა მამაკაცმა გააუპატიურა, ახლომდებელი კი მსხვერპლს ამ კაცზე ცოლად გაყოფას აძალბდნენ. გოგონამ თავი მოიკლა. Human Rights Watch - ი ჩაერთო ზემოხსენებული კრიმინალის გამოძიებაში და სახელმწიფოს მოსთხოვა არ დაეშვა შელაკაობები იმ მოძალადეების მიმართ, ვინც სექსუალურ ძალადობაში ბრალდებით გასამართლების თავიდან აცილების მიზნით გაუპატიურებულზე ქორწინდება. ორგანიზაცია ასევე მონიტორინგს უწევს ინდოეთის კანონმდებლობის რეფორმას, რომლის თანახმადაც სექსუალური ძალადობა კრიმინალად უნდა იქნეს აღიარებული. 2012 წელს ნიუ დელში ჯგუფური გაუპატიურების შედეგად 23 წლის ქალი გარდაიცვალა. ეს გახდა ოჯახში ძალადობისა და გაუპატიურების სისხლის სამართლის საქმედ ცნობის საბაბი და ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის თაობაზე დისკუსიის დაწყების მიზეზიც. კამერუნის ლგბტ თემის მიმართ დამოკიდებულების მხრივ ერთ-ერთ ყველაზე დაუნდობელი ქვეყანაა, სადაც თავი რომ დავანებოთ ამ ადამიანების პატიმრობით თავისუფლების აღკვეთას, მათ აწამებენ და ადვოკატის აყვანის უფლებასაც კი არა აძლევენ. ყველამ იცის, რომ ჩრდილოეთ კორეის გულაგებში ადამიანის გაგზავნა მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასია. Human Rights Watch - ის ინიციატივით ამჟამად გაერთიანებული კომიტეტს, რომელიც ჩრდილოეთ კორეაში ამ საკონცენტრაციო ბანაკებში კაცობრივის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მექსიკელი რეჟისორის ბერნარდო რუისის ფილმი რეპორტიორი (2011). ზეტა 1980 წელს დაარსებული იმ მექსიკური დამოუკიდებელი ჟურნალის სახელწოდებაა, რომლის ჟურნალისტები ყველაზე ძლიერად მოქმედებენ და საპაქარაოზე გამოაქვთ. ამის გამო ვაშლის ორი რედაქტორი მოკლეს. ფილმი ვეტერანი რეპორტიორის სერხიო ჰაროს საქმიანობის გაცნობით იწყება, რომელსაც ტელეფონზე ურეკავენ და მოკვლით ემუქრებიან. 2007-დან 2011 წლამდე მექსიკაში 42 ჟურნალისტი მოკლეს. სერხიო ჰარო ამბობს: მე ყოველთვის მინდოდა ჟურნალისტი ყოფილიყავი და ყოველთვის ვეკითხებ ჩემს თავს რა არის ის ზღვარი, რომელიც დარჩენასა და ნასვლას შორისაა გავლებული.

დიდი მადლობა



ძველ გიორგი ცინცაძეზე კარგი იყო ახალი გიორგი ცინცაძე

ზურა თალაკვაძე ცელიდან

ცელიეში ევრობასკეტი დაიხურა. ჩვენთვის დაიხურა და სხვები ცოტას კიდევ წაითამაშებენ. საქართველოს ნაკრებმა დასვენებული გუნდით დაიწყო და დალილმა დახურა ტურნირი, რომელსაც ტოვებს ერთი მოგებით, ორი ნაღვლიანი წაგებით და ბოლო ორი, ცოტა ცუდი აკორდით. პირველი სამი ტესტი საქართველომ მაღალ, ევროდონზე ჩაატარა. შემდეგი ორი ტესტი საქართველომ მაღალ დონეზე ფრაგმენტულად ჩაატარა. და მოსაგები ველარ მოიგო. საქართველომ მოსაგები მანამდე მოიგო. ორი ძირითადი მაღალი არ გვყავს და თითქმის ვუგებთ ორი დიდი ბიჭის, ლიდერის და საუკეთესო ფორვარდის გარეშე ძლიერ პოლონეთს, თითქმის ვუგებთ სლოვენისა და ეს თითქმის“ სლოვენის მსაჯებმა არუქეს. ხორვატიასთან არ გავგიმართლა და ხორვატიასთან მაგარი ამბები იყო. ძალიან კარგი, თავმოყვარე და თავანუელი გუნდისგან. საქართველოს კალათბურთში თავმოყვარე გუნდი ჰყავს. იცოდეთ და აფასებდეთ.

კალათბურთი განვითარდა. ქართული კალათბურთიც განვითარდა. ყველაფერი მშვენივრად მიდის და ევროპის ჩემპიონატის ბოლო აკორდები დალილი გუნდისგანაც მისაღები იყო. ესპანეთმა მოგვიგო კლასით და ეს კლასი დალილი საქართველოს ფონზე უფრო წინა პლანზე გამოდის. ესპანეთი კლასით საფრანგეთს, კარგ რუსეთს და, პრინციპში, ამერიკელი კრიმინალების გარდა, ყველას უგებს. საქართველომ კალათბურთი ითამაშა და ესპანეთთან დიდი სხვაობით წაგება ჩვეულებრივი ამბავია. ნაკლებით წაგება უკეთესია და მაინც კარგი იყო. ეპიზოდურად კარგი იყო. იგივე შეიძლება ითქვას რამდენიმე მოთამაშის პერსონალურ პილიტიკებზე. უბრალოდ, დღეს ესპანეთი თითქმის იგივეა კალათბურთში, რაც ინიესტას დაუნდობელი ზანდა სხვა სახეობაში. ასე რომ, ესპანეთით საკუთარი შესაძლებლობები არ უნდა ვაზომო. წინა ტესტებიც გავიაროთ. ესპანეთამდე კარგად მივდიოდით. ჩეხეთი არ ითვლება. ჩეხეთთან არ წაგვივინდა. ხდება ხოლმე. ჩეხეთი ხანდახან ჩვენზე კარგ გუნდებს უგებენ. ასე

რომ, არაფერია. ზაზა ფაჩულია არ იქნებოდა და ეს ვიცოდით. სამწაიანში დომინაცია არ გამოვიდა და გიორგი შერმაძინმა მაქსიმუმი გააკეთა. გიომ მოუმატა და ბევრმა ეს დაინახა. გიორგი იყო უკეთესი, ვიდრე მარჩინ გორტატი. გიორგი იყო უფრო აქტიური და მთქმელი, ვიდრე ანტე ტომიჩი. ეს არ ნიშნავს, რომ შერმაძინი გორტატზე და ტომიჩზე უკეთესია. არა, გიომ ჯერ სხვა დონეზეა, მაგრამ იმ ერთი და კონკრეტული ტესტით შერმაძინმა საქართველოს ნდობა და ძალიან გემრიელი კერძი არუქა. კერძი, რომლის დაგეგმვების სურვილი ძალიან ხშირად გინდებდა და ეს ჩვენი შეფშარეულის, იგორ კოკოშკოვის დამსახურებაა. ყველაფერი კოკოშკოვმა გააანალიზა და იგორი ძალიან კარგი მწვრთნელია. ძალიან კარგი მწვრთნელი ძალიან კარგ ნაკრებში. ბიჭებმა ეს იცინა. კოკოშკოვმა ეს იცოდა. სხვებსაც უნდა გავგეთ და, ალბათ, გაიგეს კიდევ. კარგია, თუ ასეა. იგორმა არაჩვეულებრივი გუნდი შეკრა. გუნდი, რომელმაც მინიმუმით მაქსიმუმი გააკეთა. ჩემპიონატი მოულოდნელი სვლებით გალამაზდა. ჩემპიონატზე გერმანიამ მოუგო ტონი პარკერს, ესპანეთმა ვერ მოუგო სლოვენისა, ხორვატიამ ესპანეთის დამცველები სლოვენია გააჩერა და ეს ამბები

პირველ ეტაპზე მოხდა. რუსეთი სუსტი და უპრეტენზიო იყო, იტალია იტალიურად თამაშობს და, ალბათ, მაინც ვერ მოიგებს. სადაც რაღაცას მოიგებს და ბოლომდე გასვლა გაუჭირდება. უბრალოდ, იტალია და შეიძლება ვინმეს მოულოდნელობა შესთავაზოს. იტალიაზე სხვა დროს ვისაუბროთ. დღეს ჩვენებზე ვსაუბრობთ. საქართველოს ნაკრებმა ძალიან კარგი ევრობასკეტი გვაჩუქა. კარგი იყო ვიქტორ სანიკიძე. როდესაც ერთი ნომინალური, გამოცდილი ცენტრით თამაშობ, სხვებზე უნდა დაგაზღვიონ. სხვებში სანიკიძე პირველი იყო. როგორც ყოველთვის. სანიკიძე პირველი ეტაპის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი იყო. სტატისტიკით და სტატისტიკის გარეშე საუკეთესო. ბოლოს ვიკაც დაილა. დასვენებული სანიკიძე მეტს მოასწრებდა. კარგი იყო მანუჩარ მარკოიშვილი. სადაც ასაღები შეიძლება ვერ აილო და როდესაც მანუ ხუთეულში იდგა, უფრო მშვიდად გრძობდი თავს. მარკოიშვილი მიკროტრავმით თამაშობდა. მიკროტრავმა ჯანმრთელ კალათბურთს ვერ ითამაშებ და მიკროტრავმით ევრობასკეტზე საუკეთესო ვერ იქნები. სამწუხაროდ, ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. მანუ მოუმატებს. კარგი, ძველ გიორგი ცინცაძე-

ზე კარგი იყო ახალი გიორგი ცინცაძე. ჩვენმა პირველმა ნომერმა მოუმატა სასროლი სელექციის მხრივ და უფრო მეტს იღებს საკუთარ თავზე. ცინცაძე სახიფათო ბუ გახდა. უფრო მტაცებელი, მშვიერი, აგრესიული ბუ. გიომ პირველი ეტაპის ერთ-ერთი საუკეთესო პირველი ნომერი იყო. პირველ ეტაპზე ბევრი კარგი პირველი ნომერი დარბოდა. რიკი ჰიკმენზე დავენერეთ, ბევრი ვთქვით და საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ სერიოზული სვლა გააკეთა. ჰიკმენი შემსრულებელია. როცა საჭიროა, მოუმატა. სადაც საჭირო იყო, ჩააგდო და როგორც კი მეტი ნდობა იგრძნო, უფრო გაიშალა, მეტი პრობლემა შეუქმნა მონინალმდევებს. ჰიკმენის სახით ძალიან კარგი ელემენტი მივიღეთ. ფედერაციას ეს სვლა ჩაეთვალა. ფრიადი რიკისაც. ძენელია უცებ აკრიფო ახალ სიტუაციაში. ჰიკმენმა ეს გააკეთა. ჰიკმენმა ეს მოასწრო. რიკიმ რამდენიმე თამაში მაღალ დონეზე შეასრულა. ბრავო!

განსაკუთრებული მადლობა იგორ კოკოშკოვს. დიდი მადლობა, რომ იყავით და დიდი მადლობა, თუ დარჩებით. ყველას დიდი მადლობა. გავსიამოვნეთ და არ გვაწყენინეთ.

ცელიეში ევრობასკეტი დაიხურა. ჩვენთვის დაიხურა და სხვები ცოტას კიდევ წაითამაშებენ. საქართველოს ნაკრებმა დასვენებული გუნდით დაიწყო და დალილმა დახურა ტურნირი, რომელსაც ტოვებს ერთი მოგებით, ორი ნაღვლიანი წაგებით და ბოლო ორი, ცოტა ცუდი აკორდით. პირველი სამი ტესტი საქართველომ მაღალ, ევროდონზე ჩაატარა. შემდეგი ორი ტესტი საქართველომ მაღალ დონეზე ფრაგმენტულად ჩაატარა. და მოსაგები ველარ მოიგო. საქართველომ მოსაგები მანამდე მოიგო. ორი ძირითადი მაღალი არ გვყავს და თითქმის ვუგებთ ორი დიდი ბიჭის, ლიდერის და საუკეთესო ფორვარდის გარეშე ძლიერ პოლონეთს, თითქმის ვუგებთ სლოვენისა და ეს თითქმის“ სლოვენის მსაჯებმა არუქეს. ხორვატიასთან არ გავგიმართლა და ხორვატიასთან მაგარი ამბები იყო. ძალიან კარგი, თავმოყვარე და თავანუელი გუნდისგან. საქართველოს კალათბურთში თავმოყვარე გუნდი ჰყავს. იცოდეთ და აფასებდეთ.

დიდი მადლობა ამ გუნდს.

ეს არ იყო ომი, ეს იყო სპორტი

საქართველომ ფინეთთან მესამე ადგილი დაკარგა

ბიზა გურასაშვილი

საფრანგეთთან საქართველოს თამაშით გაწბილებული გულშემატკივარი სტადიონზე ცოტა მივიდა, მაგრამ საფრანგეთთან 0:0 ფრის შემდეგ გულშემატკივარს იმედი გაუღვივა, რომ საქართველო ფინეთთან წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ... გულშემატკივარმა სტადიონი აქაც გაწბილებულმა დატოვა. საქართველომ ფინეთთან 0:1 წააგო, წააგო საკუთარ მოედანზე.

წლისსკრამ ისეთ ქვეჯგუფში მოგვახვედრა, ყველასათვის ცხადი იყო, რომ ფლეი ოფის საგზურის მომტან მეორე ადგილზე არ უნდა გვეოცნება. პროგრამა მინიმუმში და მაქსიმუმშიც ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება იყო. ეს მესამე ადგილი კი ფინეთზე გავიწვინა, რომელთან მოგების შემთხვევაში მესამეზე მეტ ფინელს ადგილი გავუცვლიდით, მაგრამ რა, 2014 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლოს წინა ტურში საქართველოს ნაკრებმა მიზანს ვერ მიაღწია. საქართველო შინ დამარცხდა. არადა იყო იმედი, რომ მოუგებელი სერების შემდეგ ახლა მაინც მიაღწევდა მიზანს თემურ ქეცბაიას გუნდი (ოთხი წაგებისა და ერთი ფრის შემდეგ).

გუშინ «ეროვნულზე» ის საქართველოს ნაკრები ვერ ვიხილეთ, რაც საფრანგეთთან რამდენიმე დღის წინათ. ეჭვები, რომ საშუალო დონის გუნდებთან და სუსტებთანაც (ასეთი კი ცოტაა) საქართველო სუსტად თამაშობს, ამჯერადაც გამყარდა.

საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ჯგუფურ ეტაპზე მესამე ადგილის დაკავება მიუღწეველი აღმოჩნდა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი 74-ე წუთზე გავიდა, როდესაც არბიტრმა დავით თარგამაძის მიერ ხელით თამაში წინასწარ განზრახულად მიიჩნია და თერთმეტმეტრიანი დანიშნა, ხოლო ერემენკომ ზუსტად დაარტყა. პენალტიდან რამდენიმე წამში მოედნიდან საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა გააძევეს და აშკარა გახდა, რომ არათუ მესამე ადგილზე ფიქრს, არამედ საყაიმო ანგარიშზე ფიქრსაც უნდა შევშევბოდიოთ.

თემურ ქეცბაიას, უფრო სწორად, საქართველოს გუნდმა საკვალიფიკაციო ციკლის ბოლო სამინაო მატჩი დათმო.

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი გასვლაზე ესპანეთით სრულდება.

დასანანია ისიც, რომ ჩვენთვის სადებიუტო 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მიღწეული მესამე ადგილი და 15 ქულა, დღემდე საუკეთესო მაჩვენებელია სანაკრებო ისტორიაში.

რაფას დიდი სლემის 13

დიდი სლემის წლის დასკვნითი ტურნირის - აშშ-ის ლია პირველობის მთავარი ჯილდო ესპანელ რაფაელ ნადალს დარჩა.

27 წლის რაფასა და მსოფლიოს პირველი ჩოგნის, სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩის ოთხსეტიანი დაპირისპირებას 23-ათასიანი აუდიტორია არტურ ემის სახელობის კორტიდან ადვენება თვალყურს, რომელიც ესპანელის და უკვე ამ გათამაშების ორგზის ტრიუმფატორის გამარჯვებით - 6:2, 3:6, 6:4, 6:1 დასრულდა.

აშშ-ის ლია პირველობის მომგები რაფაელ ნადალის ანგარიშზე ახლა დიდი სლემის 13 ტიტულია და თუ ამ მაჩვენებელს თითხმეტამდე აიყვანს, ამერიკელი პიტ სამპრასის შედეგს გაიმეორებს. ყველაზე მეტი ტიტული აქვს როჯერ ფედერერს - მას 17 ტიტული უმაგრებს ზურგს.

ერთი დღით ადრე ქალთა ერთეულების ფინალში სერენა უილიამსმა 7:5, 6:7(6), 6:1 მოუგო ბელარუს ვიქტორია აზარენკას და კარიერის მე-17 დიდი სლემის ტიტული დაისაკუთრა (ამ მაჩვენებლით მხოლოდ სამ ჩოგბურთელს ჩამორჩება: გერმანელ შტეფი გრაფს (22 ტიტული) და ამერიკელებს - მარტინა ნავრატილოვასა და კრის ზურგს (18-18 ტიტული).

რონალდუ 2018 წლამდე «სამეფო კლუბშია»

ესპანური მედიასაშუალებების ცნობით, მადრიდის «რეალის» პორტუგალიელი ვარსკვლავი რონალდუ «სამეფო კლუბთან» ხელშეკრულებას 2018 წლამდე გაახანგრძლივებს.

იგივე წყაროზე დაყრდნობით, რონალდუსა და კლუბს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია და ეს ყველაფერი უახლოეს ორ კვირაში გახდება ცნობილი.

ახალი ხელშეკრულების თანახმად, პორტუგალიელი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 2018 წლის ივნისამდე დარჩება. ...მადრიდულმა კლუბმა რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ 2009 წელს 94 მილიონ ევროდ შეიძინა.

ჭიდაობა მოკვებითა და გარდაურა და წონაში იკლავს

ბიზა გურასაშვილი

ქართული ოლიმპიური მოძრაობისთვის დამლუბველი იქნებოდა თავისუფალი თუ ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის ოლიმპიური პროგრამიდან ამოღება, რისი საშინოებაც რეალურად არსებობდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ოლიმპიზმის მამებმა ისეთი განაჩენი გამოიტანეს, რომ ქართული საჩემპიონო ყულაბა მომავალშიც შეივსება.

გაზაფხულიდან მოყოლებული, ქართულ საჭიდაო სკოლას სანერვიულო საკმარისზე მეტი ჰქონდა. როგორია, დაკარგო სტატუსი და აღარ ინოვებოდა ოლიმპიურ სახეობად, მაშინ როდესაც ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტს შენგან მოელიან და, ფაქტობრივად, ერთგვარი ლოკომოტივის ფუნქცია გაკისრია ძიუდოსთან ერთად.

კარგია, რომ ჭიდაობა ვადარჩა, კვლავ ოლიმპიური პროგრამის ნაწილია და 2020 და 2024 წლებში იგივე სტატუსით ისარგებლებს. ბუენოს აირესში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკი) 125-ე სესიონზე, 49 დელეგატმა ჭიდაობები ისხნა ოლიმპიური თამაშებიდან გაძევებისგან. მისი კონკურენტებიდან ბეისბოლ-სოფტბოლმა 24,



სექტემბერში კი 22 ხმა მიიღო. ოლიმპიური თამაშების დაარსებიდან (1896) დღემდე ოლიმპიზმის მამებს პირველად მოუხდათ ჭიდაობის ყოფნა-არყოფნის საკითხზე მსჯელობა. ერთი სიტყვით, სანერვიულო აღარაფერია, ყოველ შემთხვევაში, 2024 წლამდე. მაგრამ, დიდი ალბათობით, ერთ ცვლილებას მაინც უნდა ველოდით, რომლის მიხედვით, თავისუფლები და ბერძნულ-რომაელები შეიდიან ერთ წონას დაკარგავენ და მას ჯენტლმენურად ქალ მოჭიდავეებს გადაულოცავენ. გავრცელებული ხმების თანახ-

მად, 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში, სავარაუდოდ, მედლები ექვს-ექვს წონით კატეგორიაში გათამაშდება. ჭიდაობების ექვს წონამდე დაყვანის შესაძლებლობა ბუენოს აირესის სესიონზე უფრო გამოიკვეთა. სოკის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა იმავე სესიონზე ბოლო ხანებში საჭიდაო სამყაროში განხორციელებულ რამდენიმე სასარგებლო ცვლილებაზე საუბრისას ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის სურვილიც მოიწონა, რომლის მიხედვით, ოლიმპიურ თამაშებზე ქალ მოჭიდავეთა ჩართულობა

უნდა გაიზარდოს. საქმე ის არის, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე აქამდე თავისუფალ, ბერძნულ-რომაულ და ქალთა ჭიდაობაში შეიდ-შეიდ წონაში თამაშდებოდა მედლები, ოლიმპიურ თამაშებზეც იგივე სურათია, ერთი გამონაკლისის გარდა. აქ ქალებისთვის მხოლოდ ოთხი წონა გათვალისწინებული.

სავარაუდოდ, მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე ჭიდაობაში მედლები თვრამეტი კომპლექტი გათამაშდება თავისუფალ, ბერძნულ-რომაულ და ქალთა ჭიდაობაში.

საკითხს ეხმაურება საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ფეისბუქის გვერდიც, სადაც წერია, რომ, დაუდასტურებელი ინფორმაციით, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფალ და ბერძნულ-რომაელთა ხარჯზე ქალთა ჭიდაობას ორ წონით კატეგორიას დაუმატებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სამივე სახეობაში მედლები გათამაშდება ექვს წონით კატეგორიაში და იქვე შესაძლოა ახალი წონების ჩამონათვალიცაა მოშველილებული:

თავისუფალი ჭიდაობა

55 კგ, 65 კგ, 75 კგ, 85 კგ, 95 კგ, 125 კგ

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

57 კგ, 67 კგ, 77 კგ, 87 კგ, 97 კგ, 130 კგ

ქალთა ჭიდაობა

48 კგ, 52 კგ, 56 კგ, 61 კგ, 66 კგ, 72 კგ

NATALIE



COLE

FRIDAY, NOVEMBER 1
TBILISI CONCERT HALL

EN ESPAÑOL



OUT JUNE 25



TBILISIJAZZ.COM

[f /TBILISIJAZZFESTIVAL](https://www.facebook.com/TbilisiJazzFestival)

PURCHASE TICKETS AT TBILISI CONCERT HALL'S BOX OFFICE, ONLINE AT WEBSITE BILETEBI.GE. MORE INFO BY PHONE AT 2990599